სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.
Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

გაზეთი „ცნობის ფურცელი"
წლის დამლევამდე
ღირს 2 მანათი

„ცნობის ფურცლის"
ხელის-მომწერთა საყურადღებოდ
ახლად გამოსული ისტორიული რომანი აფხაზების ცხოვრებიდან
დ. მორდოვცევისა
ამირანის შვილნი
მთარგმნელმა, ბ-ნმა თ. სახოკიამ, შესაძლებლად დაინახა „ცნობის ფურცლის" ხელის-მომწერთ მანეთის მაგივრად 70 კაპ. დაუთმოს. ქალაქ გარეშე მცხოვრებ ხელის-მომწერთ შეუძლიანთ გამოგზავნონ ფულის მაგივრად ფოსტის მარკები რედაქციაში ბ-ნ თ. სახოკიას სახელობაზე
ამასთანავე ვაუწყებთ პატივცემულ მკითხველთ, რომ „ამირანის შვილნი" გასასყიდად მარტო ათი (10) წიგნია.



აუარებელი რიცხვი
საკერავი მაშინებისა
ყოველგვარი სისტემისა და ყოველგვარი ხარისხისა, როგორც საშინაოდ ოჯახში სახმარებლად, აგრეთვე სხვა-და-სხვა სახელოსნოებისათვის
პირველ ხარისხოვანი და საგანგებო
ველოსიპედები
(თვით-მავალა)
ინგლისის, საფრანგეთის და გერმანეთის ქარხნებიდან
ყველაფერი იყიდება შეღავათიანის ფასით
✦ ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილად შეიძლება ✦
ყველაფერი, რაც-კი ამ სავაჭრო სახლიდან გაიყიდება, მკვიდრი და მაგარია, რაშიაც სრული თავდებობაა
ტფილისში
ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6.
სემინარიის სწორედ
ს. პ. პავლოვისა და ამხ.
ტელეფონი 349
Торговый домъ
С. П. Павлова и К-°
Телефонъ 349
Тифлисъ, Лор.-Меликовская ул. № 6, противъ Правосл. Семин
Богатѣйшій выборъ
Швейныхъ машинъ
и
ВЕЛОСИПЕДОВЪ
(100—58)



დაიბეჭდა და ისყიდება
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგად. წიგნის მაღაზიაში
ამავე საზოგადოების ახალი გამოცემანი:
1) ამოდის, ნათდება! და სხვა მოთხრობები, ვაჟა-ფშაველასი. ფასი 15 კ.
2) კრილოვის არაკები, თარგმანი აკაკისა, მესამე გამოცემა, სურათებით. ფასი 30 კ. (10—4)

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი
ბენკლევსკი
ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.
Докторъ медицины и хирургъ
БЕНКЛЕВСКІЙ
Грибоѣдовская № 30, д. бывш Аршакуни. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ვ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11-საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ვ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. გერატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ф. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტია საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ვ. თოფურია.
*Лѣчебница С. В. Топуріа* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

*** სამუშაოს მშოვნელი კანტორა—შუამავალი. ტფილისში დაარსდა კანტორა—შუამავალი, რომლის მიზანია უშოვოს მსურველთ სამუშაო და შეადგინოს სამუშაოს მძებნელთა სია. კანტორა იმყოფება ავჭალის ქუჩაზე, ალელოვის სახლში, № 63, ღია არის ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კანტორაში ყოველივე საქმე სრულდება უსასყიდლოდ. ნოემბერში დაარსდება შრომის მოყვარეთა სახლი, მანამ კი იმავე სახლში მსურველთ უსასყიდლოდ მისცემენ ჭრა კერვის გაკვეთილებს ნაშუადღევის 1—4 საათამდე. აღნიშნულ დროს განმავლობაში მსურველთ შეუძლიანთ უსასყიდლოთ ისარგებლონ სადგომით და იმუშაონ შრომის მოყვარეთა სახლში, ს. პ. პავლოვის მიერ შეწირულ საკერავ მაშინებზე.

*** ცხენის რკინის გზა ნავთლუღში. ქალაქის გამგეობა შეუდგა ცხენის რკინის გზის საცდელ ლიანდაგის დაგებას ნავთლუღში, სასაკლაოს მახლობლად, გზისათვის ახლად შეძენილ ცხენების გასახედნად. იქვე გუშინწინ გადაიტანეს ქალაქისათვის ახლად დამზადებული ვაგონები.

*** ბოქაულის საჩივარი „ნოვ. ობოზრენიაზე", ტფილისის მეშვიდე ნაწილის პოლიციის ბოქაულმა ამბარდანოვმა ოლქის სასამართლოში შეიტანა საჩივარი, რომლითაც უჩივის გაზეთ „ნოვოე ობოზრენიის" თანამშრომელს ივანე ივანეს ძე სვედენცოვს და აბრალებს ცილის წამებას ბეჭდვითი სიტყვით 2 ნაწ. 1535 სტ. სასჯელთა დებულ.

*** სამხედრო ბეგარა გორის მაზრაში. 13 ღვინობისთვეს ქ. გორიდგან გაემგზავრებიან წევრნი მაზრის სამხედრო საკრებულოსი, ამ წლისათვის ჯარის ასაკრებათ. საქმეებს აწარმოებენ ჯავაში 15, ცხინვალში—22.ს, სურამში (მიხაილოვში)—29 ღვინობისთვეს და გორში—6 ნოემბერს. საკრებულოს წევრებათ არიან თავმჯდომარე მაზრის მარშალი თ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილი, მაზრის უფროსის თანაშემწე, ს. ი. აზარაპეტოვი, გორის მაზრის ჯარის უფრო-

სი მ. პ. შუბერსკი და მომრიგებელი შუამავალი — თ. ი. ე. ერისთავი; შემმოწმებელი ექიმები ვ. ვ. ენუკოვი და მ. ს. ცისკარაშვილი.

*** **ყვავილების აცრა სასწავლებლებში.** რადგან ამ ჟამად ტფილისში ყვავილი გავრცელდა, 1-ლ საქალებო გიმნაზიის მთავრობამ განუცხადა მოსწავლე ქალთ, ვისაც გსურთ, შეგიძლიათ უფასოდ აიცრევინოთ ყვავილი გიმნაზიის ექიმებსაო.

*** **ბორჩალოს მაზრის უფროსს** ბ. არნოლდს მიეცა ორი თვის თავისუფლების ნება. მაზრის უფროსის თანამდებობის ასრულება მიენდო მის თანაშემწეს ბ-ნს სემიონოვს.

*** **შავი ქვის ნახევარ კაპიკიანი გადასახადი.** „ნოვ. ობ."-ეს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ შავი ქვის ნახევარ-კაპიკიანმა გადასახადმა სავალდებულო ხარჯის დაფარვის შემდეგ, შეადგინა ამ წლის 1-ლ იანვრამდე 70 ათასი მან., რომელიც გადაეცემა შავი ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს.

*** **მ. პ. მეფისაშვილის საქმე.** ტფილისის ოლქის სასამართლო ნოემბერში ქ. ახალციხეში გაარჩევს მიხეილ მეფისაშვილის საქმეს, რომელსაც ბრალდება წაქეზება თავის მდიდარი ძმის ი. პ. მეფისაშვილის მოკვლაზედ. დამნაშავეს იცავს ნაფიცი ვექილი გ. ს. ტერ-სტეფანოვი. სასამართლოში მოწვეულნი არიან ას თერთმეტი მოწმე.

*** **ბრძოლა ყაჩაღობასთან კავკასიაში.** კავკასიის მთავარ-მართებელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ტფილისის გუბერნიის ზოგიერთ მაზრებში გავრცელებულ ყაჩაღობას. ყაჩაღობის მოსასპობად ადგილობრივ მაზრის მთავრობათ მიეცათ ამისათვის საჭირო საშვალება. ბ. მთავარ-მართებელმა შეუსაბამოდ სცნო ადგილობრივ პოლიციის მოხელეთა განკარგულებანი ყაჩაღობის წინააღმდეგ და ამ საქმეში პოლიციის მოხელეთა მოქმედების შესამოწმებლად საჭიროდ დაინახა გაუგზავნოს ბორჩალოსა და ტფილისის გუბერნიის სხვა მაზრებში მასთან არსებულის საბჭოს წევრი, ტ. ს. ს. პრიბილი, რომელსაც მიენდო ადგილობრივ გამოკვლევა ყველა იმ გარემოებისა, რომელიც იწვევს ყაჩაღობის გავრცელებას. ამასთან ბ. პრიბილს დავალებული აქვს დაწვრილებით განიხილოს სამაზრო საპოლიციო და სასოფლო სამმართველოთა საქმეები.

*** **სანავთო ადგილების გამიჯვნა.** კვირას, 4 ოქტომბერს, სიღნაღის მაზრისკენ გაემგზავრა საგანგებო კომისია, რომელსაც მიზნათ აქვს გამოარკვიოს ყველა ის უფლებანი, თუ ვის რა ნაწილი ეკუთვნის სიღნაღის ნავთის ადგილებში; კომისიას შეადგენენ ტფილისის საგუბერნიო სახელმწიფო ქონებათა მმართველი ბ. ბეკი, მისი თანაშემწე ბ. პავლოვსკი, უფროსი რწმუნებული ბ. დრჟევიცა კოვვაჩი. საგანგებო მინდობილებათა მოხელე ბ. ალექსანდროვი, კავკასიის სამთო მმართველობის წარმომადგენელნი. კომისიას თან გაჰყვა ასზე მეტი მონაწილე ამ მამულისა. („ტფ. ფურ.").

*** **ცხენის გზაზე სამსახურის მსურველთა საყურადღებოდ.** ვისაც სურს იმსახუროს ცხეთის რკინის გზაზე, როცა ამ გზის წარმოება ქალაქის ხელში გადავა, უნდა წარუდგინოს თხოვნა თავისი სურვილის შესახებ ცხენის რკინის გზის მოსაწყობად დანიშნულ კომისიის თავმჯდომარეს, ქალაქის გამგეობის წევრს ბ-ნ ვერმიშევს. თხოვნები მიიღება მხოლოდ 16 ოქტომბრამდე. სამსახურში შარიცხვის დროს უპირატესობა მიეცემათ იმათი ვინც ამ ჟამად უსახელო საზოგადოებაში მსახურებს.

*** **სულით ავადმყოფთა თავშესაფარი სოლოლაკში.** ქალაქს განზრახვა აქვს სოლოლაკში სულითავადმყოფთა თავშესაფარი 1-ლ ნოემბერს გახსნას.

*** **შეცდომის გასწორება.** ბ-ნო რედაქტორო! „ცნობის ფ." მე-635 №-ში ს. აბაშიდან დაბეჭდილია ჩემმიერ მადლობა ლუკა ს. ქოიავასადმი, რომელმაც შეაგროვა 26 მანეთი სასარგებლოდ აბაშის სამრევლო სკოლისა. მაგრამ, გვარი შემომწირველებისა არის შეცდომათ დაბეჭდილი: ქოიავას ნაცვლად ქოთავაა, ამისთვის გთხოვთ ხსენებული შეცდომის გასასწორებლად ეს წერილი დაბეჭდოთ. გვარი არის ქოიავა და არა ქოთავა.

მღდელი რაჟდენ ქალაგანიძე.

*** **სამტრედია.** თავ-გასული მესაათე. ეს სამი წელიწადზე მეტია, რაც აქ ერთი ოქრომჭედელი, (მესაათე) მესაათობას ეწევა. ამ ვაჟბატონს გაქირვების დროს მიუთვისებია ეს ხელობა და ატყუებს ხალხს. ამის გამო კვირაში სამჯერ მაინც მესაათესა და მუშტრებს შორის არის ერთი ჩხუბი და აყალ მაყალი. ზოგს წინა დღით წაღებული საათი მოაქვს და ეუბნება მესაათეს, „გაჩერდა და არ მუშაობს"-ო. ზოგის საათი ამ უკანასკნელს ერთი ორი თვით უგდია შინ და ვერ აკეთებს. საწყლებს ფულებს ართმევს იმის მაგივრად, რომ საათი გაკეთებული დაუბრუნოს უკან, უარესად უფუჭებს და ისე აჩეჩებს ხელში. ამისთანა შემთხვევა არა ერთი ხდება ჩვენს სამტრედიაში, მაგრამ არავინ აღმოჩნდა იმისთანა გულ-შემატკივარი, რომ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ასეთს არა სასურველ ამბებს.

ს. გეჯეთელი

*** **სად. ნატანები.** მეეტლეს თავ-გასულობა. ხშირათ ვკითხულობთ გაზეთებში, ოზურგეთის ქალაქის მოურავი ბ. თავ. ნ. თავდგირიძე თავ-გამოდებით სცდილობს სად. ნატანებიდან ოზურგეთამდე გაიყვანოს რკინის გზის შტოო. ღმერთმა ინებოს, რომ ბ-ნ მოურავს ეს ძლიერ საჭირო საქმე წაერმატებიოს და ადრიანათ დაეგვირგვინებიოს, რადგან შესაფერის გზის უქონლობის გამო მოგზაორი ხალხი დიდს გაჭირვებაშია ჩავარდნილი დღესასწაულების დროს, როდესაც ბევრი ხალხი იყრის თავს სად. ნატანებში, და აგრეთვე დიდი ავდრების დროს, როცა თავ-გასული მეეტლები, როგორც სურთ ისე ექცევიან მოგზაურებს. აი მაგალითიც: 7 სექტემბერს, სად. ქობულეთიდგან დილის მატარებლით ორი ამხანაგი მივედით სად. ნატანებში, იქიდგან გვინდოდა გამგზავრება ოზურგეთში. მე მატარებლის გაჩერებასაც არ მოვუცადე, გადავედი საჩქაროდ და დავიქირავე იქვე მდგომი ეტლი ორ მანეთად. ჩავჯექით ეტლში და მოვემზადეთ სამგზავროთ. ამ დროს კოკისპირული წვიმა მოდიოდა და მეეტლემ მოულოდნელად გვითხრა: მე „ზანიატი" ვარ აშა და ამ კაცისაგანაო, ამიტომ თქვენ უნდა ჩამობრძანდეთ, თქვენი წაყვანა შეუძლებელიაო, ან არა და სამი მანეთი მომეცით და წაგიყვანთო. ჩვენც მეტი რაღა გზა გვქონდა, უნდა აგვესრულებია მეეტლის ჟინი, რადგან არც დარჩენა შეგვეძლო და არც სხვა ეტლი იშოვებოდ.

განსაკუთრებით, შევიწროებულნი არიან ბაღნიანი მანდილოსნები, რომლებსაც შემთხვევისა გამო თავიანთი ქმრები არ ახლავთ და გამოუცდელნი არიან მოგზაურობაში. ესენი თავ-გასულ მეეტლებს ვერ შეებრძოლებიან, რჩებიან სადგურში მთელი დღე და ცივდებიან, რის გამოც ავად გახდომა მათთვის აუცილებელია. რა თქმა უნდა იძულებულნი ხდებიან მეტი ფული გადიხადონ, რომ მეორე დღესაც არ დარჩნენ სადგურში.

ივტ. ციხის უბნელი

*** **ქ. გორი.** საზოგადო სასწორის საქმე. არ იქმნა, არ დააყენეს ერთ ადგილზე აქაური საზოგადო სასწორი: ხან აქეთ მიარბევინებენ და ხან იქით, — ასე, რომ ქალაქის მოურავმა რომ დასტური დასცეს მოიჯარადრეს, ეგებ ლიახვისა და მტკვრის ჩასართავთანაც კი დადგან სასწორი. ამის გამო იმ სოფლიდან შემოსული გლეხები დიდად შეწუხებულნი არიან. წარსული წლის შემოდგომაზე აიღო იჯარით სასწორი ბბ. მურადოვებმა და აქაო და ჩვენი მამული უშემოსავლოაო, აიპოწიალეს სასწორი, ჩაიტანეს თავიანთ სახლის წინ და იქ დაიდგეს. ეხლა ამ თავ-ნება მოიჯარადრეებს ვადა გაუდით და იქნება თავის ბინაზე დაბრუნდეს სასწორი. განა არ შეეძლო ქალაქის მოურავს წინათვე აეცდინა გლეხთათვის ვაი-ვაგლახი, მაგრამ ვინ არის გულ-შემატკივარი. სასწორი დღემდის იჯარით გაიცა ოთხჯერ მაინც, მაგრამ არ იქნა, ქალაქის მოურავმა იგი გლეხთა სასარგებლო ადგილზე არ დაამტკიცა. დროა ამას ყურადღება მიაქციოს, ვისიც ჯერ არს.

— **ვაჭრების თავ-გასულობა.** არა მგონია, რომ სხვაგანაც სადმე იყვნენ ისეთი თავ-გასული ვაჭარბაცაცები, როგორც ჩვენს დახურულ ბაზარში არიან. არაფრის გულისათვის ესენი გლეხს თავისუფლათად არ გაატარებენ. თუ ამ უკანასკნელს არაფრის ყიდვა არ უნდა. ან ქუდს მოხდიან და დუქანში შეუგდებენ, რომ ეგებ ძალათ მიჰყიდონ რამე; ან სცემენ და ან კიჟინას დააყრიან. რაც საქონელი აქვთ, სულ გარეთ უყრიათ და კაცს თავისუფლათ ვერ გაუვლია ბაზარში.

— **ყასბების თავ-გასულობა.** მთეენკენისთვე ისე გავიდა, რომ ჩვენს ყასბებს მსუქანი საკლავი არ გაუტარებიათ. ისეთ ხორცს ყიდიან, რომელსაც ძაღლიც არ დასუნავს და ასეთი საძაგელი ხორცი გირვანქა ექვსი კაპიკი ღირს. დროა, ამასაც ყურადღება მიექცეს...

მეთვალყურე ცხინვალელი

*** **ქ. ფოთი.** მოიჯარადრეთა თავ-გასულობა. ვის არ მოეხსენება, რომ ყოველ კუთხეში ჩვენი მუშები უკიდურესს მდგომარეობაში არიან ათასგვარ ულმობელ მიზეზებისა გამო, მაგრამ არა მგონია ისინი ისე დატანჯულნი იყვნენ სადმე, როგორც არიან აქაურ გემების დამცლელ-დამტვირთველ მოიჯარადრეთა ხელში. ერთხელვე გაჭირვების გამო ამათ ხელში ჩავარდნილი მუშა მათგან თავის დახწევას ველარ ახერხებს და როდესაც სხვაგან ოც-და-ათ მანეთს იშოვის თვეში; იძულებულია ამათ ათ-თორმეტ მანეთად ემსახუროს დღე და ღამე განუწყვეტლივ. თავის დაუ-

ხწევლობის მიზეზი გახლავთ მუშების მიერ მათი ნაოფლარის აღების სიძნელე, ურომლისოდაც წასვლას ვერ ახერხებენ. მაგ. მუშა ელოდება, როგორც აღდგომის წითელ კვერცხს, ოთხი თვის მიუღებელ ფულს. ბოლოს დიდი ჩხუბის და ვაი-ვაგლახის შემდეგ მას დაიბარებენ, რათა ნახევარი ორი თვის ფული მისცენ და დანარჩენს მომავალისათვის პირდებიან იმ პირობით, რომ სხვაგან სამუშაოდ არ წავიდეს, თორემ სულ არას მიიღებს!

ბ. ხ—ლი

*** **სოფ. მალაროსკარი** (ფშავეთი). სკოლის დაარსების საქმე. 30 ენკენისთვეს კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების ინსპექტორის ბ-ნ ე. მამინაიშვილის წინადადებით ყრილობა მოხდა ორი საზოგადოების მცხოვრებთა: მალაროსკარისა და შუაფხოსი. ინსპექტორმა წინადადება მისცა სასწავლებელი გაეხსნათ თავის ხარჯით. თუმცა ფშავეთში არც ერთი სკოლა არ არსებობს და ხალხიც სწავლას არ არის უწადინო, მაგრამ მაინც საშინელ უარზე დადგა: გავტყავდით, გავლატაკდით ამდენი სხვა-და-სხვა გადასახადით, ილაჯი აღარა გვაქვსო. ავდარი იყო, ასხამდა კოკისპირულად, მაგრამ უშველოსთ ღმერთმა, არავინ მოერიდა ამას: ინსპექტორი, ბოქაული, მღვდლები სვიმონი და ალექსი ბაკურაძენი, აგრეთვე ვაჟაფშაველა იდგნენ ხალხში და მხურვალეთ ჩააგონებდნენ. მთელი დღე დილით საღამომდე გასტანა შხეპამაც და მოლაპარაკებამაც. საღამოზე, როგორც იყო, ხალხი მოტყდა და გამოუცხადა ბ-ნ ინსპექტორს: ვიკისრებთ წელიწადში ორასი მანეთის გაღებას, სკოლის დარაჯის დაყენებას და შეშას; მხოლოდ გვიშუამდგომლეთ დანარჩენი სკოლის ხარჯი ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ იკისროსო. ბ. ინსპექტორიც დაჰპირდა, ვიხმარ ყოველ ღონისძიებას, რომ თქვენი სურვილი შესრულებულ იქმნასო.

რადგანაც მთელ ფშავეთში სკოლა არ არის და ხალხიც მოკლებულია ჭეშმარიტი ქრისტიანობრივი სარწმუნოების ცოდნას და ნივთიერადაც მეტის-მეტად შევიწროებულია, ამიტომ გვაქვს სრული იმედი, რომ ბ. ევტიხი მამინაიშვილი, როგორც მისსიონერი, მზრუნველი ქრისტიანობის აღდგინებისა, შეასრულებს თავის დაპირებას და პატივცემული ქრისტეანობის აღმადგინებელი საზოგადოება, რომელსაც ასე დიდი ღვაწლი მიუძღვის მთებში, შეიწყნარებს მისსიონერის შუამდგომლობის და ფშავეთს არ დასტოვებს უსკოლოდ.

იქაური

*** **სოფ. ზემოხეთი** (გურია). შენ-ჩემობით დაქვეითება. სამარცხვინო „შენ-ჩემობა“, სამწუხაროდ, ყველგან ფესვს იდგამს, მაგრამ ამ სენმა განსაკუთრებით ჩვენს სოფელს დაასვა დაქვეითების დაღი. აქ ერთხელვე ასტეხიათ აყალ-მაყალი ეკკლესიის თაობაზე და თითქო საშვილიშვილოდ იყოს ნაანდერძევი, ახლაც ამ საყდრის გამო აქვთ განხეთქილება და გაუთავებელი დავა. სოფელი ორად არის გაყოფილი: ერთი მხრით გამდგარა აზნ ქილაძეები თავის პარტიით და მეორე მხრით ყველა ხუნდაძეები, და ერთი-მეორის საწინაღმდეგოდ ეს აქამდის ჰირსა და ლხინში განუყრელი მეზობლები აღარავითარს ხარჯს და სასჯელს არ ერიდებიან· თუ კი რამ აბადიათ, სულ „შენ-ჩემობას“ გადაატანეს. ყოველ დღე მათ საფიქრალს ეკკლესიის საქმე შეადგენს. მუდამ დღე ეს გესმის მათგან: კანტორა, თხოვნა, აპელაცია და ადვოკატისთვის ფულის ბოჭვა. სწავლა-განათლების საქმე ვიღას ახსოვს აქ, ან ვიღას სცალია მისთვის! ეგრედ წოდებული ინტელიგენტებიც მოგვეძევებოდნენ, მაგრამ. საუბედუროდ, ისინი სხვა-და-სხვა ქალაქებს მიჰკედლებიან და სამშობლო სოფელი აღარც-კი ახსოვთ, მაშინ, როდესაც მთელი გურია მოფენილია სკოლებ-სამკითხველოებით და სხვა სასარგებლო დაწესებულებებით, იქაური ინტელიგენცია ილვწის თავიანთ სოფლის გასაუმჯობესებლად, ამ დროს ჩვენი ბუნებით შემკული, წმინდა ჰაერით და ანკარა წყაროებით განთქმული ზემოხეთი და მისი ინტელიგენციაც სალათას ძილს მისცემია და ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლაც არ მოეძევებათ, თორემ სამკითხველოს, ბანკს, აფთიაქს და სხვებს თქვენი ჭირი წაუღია.

— **ახალი მასწავლებელი.** აქაურს სამრევლო სკოლაში დანიშნეს მასწავლებლად ივანე ნიკოლაიშვილი; ამ ყმაწვილ კაცმა წელს დაამთავრა სემინარია და მაშინვე ითხოვა თავის სამშობლო სოფელში სამსახური იმ განზრახვით, რომ ამ არა სანატრელ მდგომარეობაში მყოფს სკოლას მიჰშველებოდა... სრული იმედია ახალი მასწავლებელი თავისს ნაკისრ საქმეს გულმტკივნეულად მოეკიდება და სხვა-და-სხვა მიზეზებით სკოლაზე გულაცრუებულ საზოგადოებას აღუძრავს სწავლის სურვილს.

ლ. ჭ—ძე

*** **დ. აბაშა.** ჭირნახულის ბედ-იღბალი. 29 ენკენისთვეს, აქეთ მთელი ერთი კვირე გამუდმებით სწვიმს. ამას ზედ დაერთო საშინელი ქარი და ყოველივე ჭირნახული მიწასთან გაასწორა. მთელმა ზაფხულმა ისე უხეიროდ გაიარა, რომ საბრალო გლეხი ძაღლ-უმადურად მუშაობდა უამინდობის გამო, ხოლო ამ ბოლოს რაც სარჩოს მოელოდა, ისიც ბუნების დაუდგრომელობამ ხელიდან გამოაცალა! ჯერ აქეთ რთველი არ დაწყებულა, მაგრამ რაღა დაიწყონ, რომ აღარაფერი დარჩათ. ღომი, თუმცაღა ბევრი არ ითესება აქეთ, მაგრამ რაც დაითესა, ისიც მოსპო ამ ავდრებმა და ქარმა, სიმინდი სულ ტალახში ამოსაკრები გახდა, ყურძენი ხომ აღარ არის და არა. მაშ მეტი რაღა დარჩენია სოფელს?! მწარე საგონებელში არიან ჩავარდნილნი აქაური მცხოვრებნი. თუ რაიმე დახმარებას აღმოუჩენს მათ მთავრობა, ვინიცობაა სიმშილობა ჩამოვარდა, თორემ მეტი საშველი არა არის-რა. აქაურ მცხოვრებთ სიზარმაცეს და უშრომლად ყოფნას ვერ შესწამებს კაცი, ხოლო ეს რამოდენიმე წელიწადია ეს კუთხე მეტად დაეცა ნივთიერად ცალკე სიმინდზე ფასის დაწევით და ცალკე მოსავლის განადგურებით.

— **ხიდის წაღება წყლისაგან.** ორპირის ცხენის წყლის ხიდი წყალმა წაიღო, რომელიც ხაზინას სამი ათას მანეთად დაუჯდა. აქეთ მდინარეები მეტად ადიდებულია წვიმების გამო.

ბან-დონ

*** **იმერეთი.** უამინდობა და წვიმა. 27 სექტემბერს დაიწყო კოკისპირული წვიმა, რომელმაც ხელი შეუშალა მუშა ხალხს, თავიანთი საზრდოს მოწევაზე. მოგეხსენებათ გლეხკაცობას ჩვეულებათ აქვთ ცოლშვილით დაბინავება ყანებში, იქ რჩებიან მანამდი მთლათ მოიწევენ თავიანთ საზრდოს. ადვილათ წარმოიდგენთ ცუდს ამინდში რა გაჭირვებას გამოივლიდნენ ცის ქვეშ ზემოხსენებულნი. გაჭირვება გაჭირვებათ დარჩეს თუმცა არ გამოიდარა, თავიანთი სიმინდი და ყურძენი სანახევროდ დაულპებათ. მოსავალს წელს კარგი პირი უჩანს ვაკე იმერეთში, თუმცა ამინდმა არ დაგვაცალა მოწევა.

— **წყალდიდობის შედეგი.** წყალწითელა, ყვირილა, რიონს და რკინის გზის ლიანდაგს შუა, მდებარეობს საყანე მიწა სახელდობრ: „ხარბევი და დიდი წინა ველი“, შეიცავს რამოდენიმე ათას დესეტინას, სანაქებო მოსავლიან მიწას: ეკუთვნის სახელმწიფო გლეხთ და მემამულეებს. ზემოხსენებულ ადგილს შუა ჰყოფს ქუთაის-აბასთუმნის გზატკეცილი. როგორც სხვა მხარეს იმერეთსა, აქაც დაიწყეს რთველი, მაგრამ წვიმის გამო სამწუხაროდ იჩინა თავი, 1 ოქტომბერს გადიდდა ზემოხსენებული სამივე მდინარეები, გადავიდნენ თავიანთ ნაპირიდან ორ ნაწილზე მეტი, საყანე ადგილები გადაიარა წყალმა და თან წაიღო რამოდენიმე მოგროვილი სიმინდი და ჩალა, ბევრი სიმინდები დაასველა. მეტ ზარალს აძლევს მიწას მდ. რიონი, ყოველივე მომატების დროს მიაქვს სანაქებო საყანე მიწები რამოდენიმე დესეტინა, ძრიელ კარგი იქნება, რომ ჯებირის გაკეთებას დააჩქარებდნენ, რომელიც ეხლა კეთდება რიონის სადგურის პირდაპირ.

— **თოვლი.** მთებზე ხელმეორედ დასდო თოვლი და საკმაოდ აცივდა ჩვენსკენ.

ი. ტ.

*** **ს. საჯავახო** (იმერეთი). სამრევლო სკოლის დაარსება. აქაურ მცხოვრებთა სიხარულს საზღვარი არა აქვს, რადგანაც ჩვენ ს. საჯავახოში მთავრობის განკარგულებით, ამ მოკლე ხანში, დაარსდა სამრევლო სკოლა. მადლობა ღმერთს, თუ სხვას არა, სახელის და გვარის მოწერას მაინც ისწავლიან ჩვენი საწყალი შვილებიო, გაიძახიან აქაურნი მცხოვრებნი. მასწავლებლად არის დანიშნული ამავე სოფლის მცხოვრები ბ. გერმენი სანიკიძე, რომელიც იმედია, კარგ ნიადაგზე დააყენებს ამ სასწავლებლის საქმეს და ამასთან თანდათან ჩააგონებს ხალხს საზოგადო ბიბლიოთეკის საჭიროებაზე..

დიდი მადლობის ღირსია ამავე სოფლის ძველი ოფეთის მთავარანგელოზის ეკკლესიის მღ. ლუკა ჩაჩუა, რომლის დაუღალავი შრომით ამ ექვსი თვის წინად აშენდა ამავე სოფელში ქვის ეკკლესია, ახლა კი ხსენებული სკოლა დაარსდა, და რომლის ჩაგონებით აქაურმა ვაჭარმა ილარიონ ნიკოლაიშვილმა ყოველ წლიურათ თავისი მეათედი შემოსავალი გადასდო ამ სკოლის დასახმარებლათ და გარდა ამისა ღარიბ მოსწავლეთ უფასოთ აძლევს სამოსწავლო ნივთებს. ამ სასწავლებლის მართველად არის დანიშნული ამავე სოფლის ახალგაზდა ნასწავლი ვაჭარი ბ. გიორგი ნიკოლაიშვილი, რომელიც თავისი უანგარო შრომით დიდი ნაყოფის მოტანას გვპირდება. ყოველ ამ სიკეთესთან აქაურმა მამასახლისმა ბ. ნიკოლეიშვილმა სიტყვა მოგვცა, ერთ დღეს მოვიცლი სასამართლოში ბექდის ტკაცუნისაგან და რაც დაოხრებული და ჯოჯოხეთური გზები არის ჩემ სამამასახლისოში ყველას შევაკეთებო, რომ ბავშვებს ზამთრობით ადვილათ შეეძლოთ სკოლაში სიარულიო.

ღმერთმა ინებოს, რომ ზემოხსენებულ პირებს თავიანთი კეთილი დაპირება დროზე აესრულე-

ბინოთ, რომლითაც საუკუნოთ მოიპოვებენ კეთილ სახელს.

ნიკო საჯავახოელი

*** **ს. სამიქაო** (სამეგრელო). ქურდობა. სამიქაო შეადგენს ერთ საუკეთესო კუთხეს ოდიშის მხარეში. ეს სოფელი ქონებრივი შეძლებით სხვა მახლობელ სოფლებს არ ჩამოურჩება. სწავლა-განათლებაც აქ კარგს მდგომარეობაშია რაც შეეხება სოფლის კეთილ დაწესებულებას, აქ მეტს შეხვდებით, ვიდრე სხვა მახლობელ სოფლებში, ხოლო ზნეობრივი მდგომარეობა, ზოგიერთ გლეხკაცთა მეტათ საზარელია, განსაკუთრებით დედაკაცებთა შორის. აქაური ქალბატონები დიდი ხანია რაც დაჩვეულნი არიან ქურდობას, არც ერთ დაბებში პარასკეობას ან ქალაქობას (როგორც ზოგიერთ ალაგს წელიწადში ერთხელ იციან) ესენი არ აკლდებიან შეიკრიბებიან რამდენიმე დედაკაცები და გასწევენ ოცი ოცდა ათი ვერსის სიშორეზე მაგ. ნაგომარში (გურია), სენაკში და სხ. აქ ესენი რითი გინდათ თავს რომ არ იკმაყოფილებენ. ერთი სიტყვით ყველაფრის მუშტარი არიან რისიც წამოღებას დანახვას კი შესძლებენ. ესენი ამ დროს ისეთნაირ მალულ ცბიერობით იქცევიან, რომ თავიანთი ნაქურდალ წვრილმალ ხაბაკით ოჯახსაც აკმაყოფილებენ და სხვა პირებზედაც ბევრს ჰყიდიან ხოლმე. თუმცა-ღა ასეთი მომქმედნი პირნი აქ ცოტანი არიან, მაგრამ მაინც დიდათ სამწუხაროა ხოლმე ამ სოფლის ასეთი ნაკლულოვანება. ურიგო არ იქნება, ყოველსავე ამას ყურადღებას მიაქცევდეს, ვისიც ჯერ არს, რომლითაც როგორც სამიქაო, აგრეთვე სხვა მახლობელ სოფლებიც განთავისუფლდებიან ასეთი გადამდები სენისაგან.

ე. ჩ—ძე

*** **ბაქო.** მდიდარი ხალხი. თუ ბაქოს მცხოვრებნი მოკლებულნი არიან თვალისთვის სასიამოვნო მცენარეულობას, სამაგიეროდ ბუნებას მათთვის ფარულად შეუნახავს დედა-მიწაში აუარებელი სიმდიდრე, რომლითაც ისინი დღეს ამაყობენ და მილიონ ფულს არ ეძახიან. ეს სიმდიდრე გახლავთ ნავთის დაუშრეტელი წყაროები. როდესაც ბუნება იმისთანა სიმდიდრეს აძლევს ადამიანს, რომლის საშოვნელად ბრძოლა არა სჭირდება, მაშინ ადამიანიც ნაკლებად ავარჯიშებს ჭკუა-გონებას, მხოლოდ იმაზეა მიდარაჯებული, რომ ჩაბღუჯოს რაც შეიძლება მეტი სიმდიდრე და ასუქ-ალაღოს თავისი ხორცი; მაშინ სულიერი განვითარება ერთ წერტილზე უჩერდება და თანდათან სულით ღატაკი ხდება. ბაქოს მდიდარი ხალხიც ამგვარ ცხოვრებას მისცემიან და სწავლა-განათლებისთვის ზურგი უდრეკიათ. მათი ცხოვრების მიზანს კაპიტალის გაფართოება შეადგენს. როდესაც მილიონერებს კაპიტალი უორკეცდება, მაშინ თავისი შეხედულობით, ის სულითაც მდიდარია და ხორცითაც. რომ ბაქოს მდიდარ საზოგადოებას განათლების სხივი სრულიად არ მიჰკარებია, ამას იმათი დღევანდელი შინაგანი და გარეგანი ცხოვრება გვიმტკიცებს. რა ჰაინტერესებს მათ? რა გასართობი საგანი აქვთ? რითი ავარჯიშებენ თავიანთ ჭკუა-გონებას? ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ გარდა იმისა, რასაც თვალით არ დაინახავენ და რითაც სხეულს არ გაალაღებენ, მათ არა აინტერესებთ-რა. ჭკუას საზრდო-ულუფასთვის არც კი უფიქრიათ და არც თავს შეიწუხებენ ასეთი ფიქრით რომელ მათგანს მოუვიდა ფიქრად, დაეარსებინა რაიმე საზოგადო დაწესებულება, სადაც შესძლებოდა ადამიანს ევარჯიშებინა გონება; იქა არის არც რიგიანად დაყენებული საზოგადო სამკითხველო, არც ბიბლიოთეკა, არც თეატრი და არც კლუბი და თუ რომელიმე ამათგანი არის, მხოლოდ სახელს ატარებს და არც ერთი მათგანი თავის პირდაპირ დანიშნულებას არ ემსახურესა. მაგალითად. ავიღოთ თეატრი. ეს ზნეობრივათ აღმზრდელი სკოლაა, მას ბაქოში სულ უკანასკნელი ადგილი უჭირავს, აქ ერთხელ სამადლოთ თუ მივა ვინმე გამართავს წარმოდგენებს, თორემ იქაურებს მაგისთანა უბრალო საქმისთვის სადა სცალიანთ. აქაური ხალხი თუნდაც წავიდეს თეატრში, იმიტომ კი არ მიდის, რომ შესძინოს თავის გონებას არა! ის უცქერის მხოლოდ ტანისამოს და იმას, თუ რომელი მსახიობი ქალი უფრო კეკლუცია. ბაქოში მიხეილის ბაღში არის კლუბი, სადაც დიდძალი ხალხი იყრის ხოლმე თავს. ნეტავი გაჩვენათ, რა ხდება ამ კლუბში! ეს კლუბი კი არ არის, ეს უფრო „ათინური საღამოს“ დარბაზია!.. ღამე აქ ისე არიან ერთმანეთში ქალი და კაცი არეულნი, რომ „ძაღლი პატრონს ველარ იცნობს“.

ივ. კავთელი

## ყურმოკრული საუბარი

—

სადილზე რესტორანში ერთი კაცი საშინლად ტრაბახობდა: მე ყველაფერი ვიცი და ყველაფერი შემიძლიაო.

— ჰოო?!.- ჰკითხა ერთმა დამსწრეთაგანმა, არის თუ არა ასეთი რამ რაც თქვენ არ შეგიძლიათ.

— რასაკვირველია, არის.

— მაგალითად რა?

— მაგალითად ის, რომ არ შემიძლია ამ სადილის ფული მივსცე.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** მაღალ-ყოვლად სამღვდელოს პალლადის ცვლილება არ ეტყობა. სიცხე და პულსი ზომიერი აქვს.

**სტამბოლი.** ცუდის ამინდისა გამო გემმა „გოგენცოლლერმა“, რომელზედაც იმპერატორი ბრძანდება, დარდანელში შესვლა დაიგვიანა.

**რეტიმნო.** ქალაქში სრული წესიერება და მშვიდობიანობაა. მხოლოდ რაოდენიმე ქრისტიანთა ოჯახი გავიდა. რუსების ჟანდარმები კანონიერს პოლიციის მოხელეობას ასრულებენ. ნავთ-სადგურში სდგანან სტაციონერი „ალექსანდრე II“, კრეისერი „ჰერცოგი ედინბურგისა“ და ნავთ „გრაზიაშჩი“. ხმელეთის ჯარი საკმაოა, რომელსაც თან ექვსი ზარბაზანი აქვს. ჯარის უფროსმა სამოქალაქო გამგეობაც ჩაიბარა. ეს რამოდენიმე დღეა, რაც ადმირალი სკრიდლოვი ქალაქში იმყოფება და თითონ ხელმძღვანელობს ოსმალეთის ჯარის გასვლის საქმეს, რომელიც დაიწყობა 8 ოქტომბერს. მუსულმანებმა ითხოვეს, რომ ქრისტიანეთაგან დაგვიფარეთ ოსმალეთის ჯარის წასვლის შემდეგო; ადმირალი შეჰპირდა, რომ თქვენს ქონებას ვერავინ შეეხება და სარწმუნოებრივს წეს-რიგს თავისუფლად აღასრულებთო. მოლები მეგობრულის თვალით უცქერიან რუსებს.

**პარიზი.** ზღვათა სამინისტროში მართლდება ერთის დიდი გაზეთის სიტყვები, რომ ტულონში ოთხი ჯავშნიანი გემი მზადდება ომიანობის დროის შესაფერად და რაკი მზად იქნება, ბრესტში გაგზავნიანო. ჯავშნიანი გემების ბრესტში წასვლის შესახებ ხმა დადის, რომ ამ გემების წასვლას კავშირი აქვს საფრანგეთისა და ინგლისის ეხლანდელს ერთმანეთთან დამოკიდებულებასო. ესეც-კი უნდა შევნიშნოთ, რომ მოლაპარაკების მშვიდობიანად დასრულება უფრო სჯერათ.

**პეკინი.** დედოფლის ბრძანებით, ორი მოხელე დაინიშნა სავაჭრო საქმეებისათვის—ერთი შანხაისათვის და მეორე ხანკოუსთვის. ინგლისის ელჩს წარუდგინეს კმასაყოფელი მოხსენება იმის შესახებ, რომ იმპერატორი კარგად არისო.

**ბერლინი.** „ჩრდილო გერმანიის გაზეთი“ ამტკიცებს, რომ იმპერატორ ვილჰელმის მოკვლა მართლა ჰქონდათ განზრახულიო და დასძენს, რომ იმ საბუთის ქაღალდებიდან, რომლებიც უპოვნეს დაპატიმრებულთ, ნათლადა სჩანს, რომ განზრახვა ჰქონიათ იმპერატორის მოკვლისა.

# განცხადებანი


აღმასრულებელი კომისია, რომელსაც ტფილისის ცხენის რკინის გზის გამოსყიდვა და წარმოება აქვს მინდობილი, იწვევს იმათ, ვისაც ჰსურს ამ რკინის გზაზე იმსახუროს, შეიტანონ კომისიაში ამის შესახებ განცხადება 15 ოქტომბრამდე, ამასთან უპირატესობა მიეცემა იმათ, ვისაც წინად ამ ცხენის რკინის გზაზე უმსახურია.

15 ოქტომბრიდან კომისია თხოვნებს აღარ მიიღებს და მოსამსახურეთა რიცხვი შევსებულ იქმნება იმ კანდიდატებთაგან, რომელნიც კომისიასა ჰყავს აღნიშნული. განცხადებებს მიიღებს გამგეობის წევრი ვერმიშევი აღმაშენებელს განყოფილებაში. (3—1)

იყიდება
„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში
იაფ-ფასიანი
სახალხო გამოცემანი:

| | | |
|---|---|---|
| თავ. ილია ჭავჭავაძე . | 2 | „ |
| ალექსანდრე ეპისკოპოსი | 2 | „ |
| სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე . . . . | 2 | „ |
| პატარა ბიბლიოთეკა . . | 2 | „ |

ვინც ცალს გამოიწერს, მანეთზედ ეთმობა ორი აბაზი. მსურველს მიჰმართავენ „ცნობის ფურცლის“ რედაქციას. (30—15)

იბეჭდება და მალე გამოვა
**გასაყიდად**
იმერული სცენები, კოტე მესხისა ჯუზეპე გარიბალდი, ბიოგრაფია უკანასკნელი მთავარი სვანეთისა ახუნდი, პოემა ვაჟაფშაველასი ნარა, მოთხრ. ჩოხატაურელისა საქვეყნო სიზმარი, ამბავი დ. მაჩხანელისა. (30 - 14)